

დამტკიცებულია  
აქციონერთა საერთო კრების მიერ

ოქმი № 1  
2009 წლის 11 მარტი

## დებულება

სს “თელასის” სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის  
ანაზღაურებებისა და კომპენსაციების გადახდის თაობაზე  
(ახალი რედაქცია)

ქ. თბილისი, 2009 წელი

## 1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე დებულება შემუშავებულია საქართველოს კანონმდებლობის, სს “თელასის” (შემდგომ საზოგადოება) წესდების შესაბამისად, და ადგენს საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისათვის ანაზღაურებებისა და კომპენსაციების ოდენობასა და გაცემის წესს.

1.2. ანაზღაურებებისა და კომპენსაციების გადახდა საზოგადოების მიერ ხორციელდება ფულადი ფორმით.

## 2. ანაზღაურებების გადახდა

2.1 საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომაში მონაწილეობისათვის, მისი ჩატარების ფორმის მიუხედავად, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრს გაედაეხდება ანაზღაურება 150 (ას ორმოცდაათი) პირობითი ერთეულის ეკვივალენტის ოდენობით, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს 200 (ორასი) პირობითი ერთეულის ეკვივალენტის ოდენობით, სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული სხდომისათვის. ერთი პირობითი ერთეული მიიჩნეულ უნდა იქნეს ერთი აშშ დოლარის ტოლად. გადახდა წარმოებს საქართველოს ეროვნულ ვალუტაში (ლარი), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გადახდის დღისათვის დადგენილი კურსით.

ამ პუნქტში მითითებული ფულადი სახსრები არ მოიცავს გადასახადებსა და მოსაკრებლებს, რომლებიც დაირიცხულ და გადახდილ უნდა იქნეს საზოგადოების მიერ, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

2.2. მე-2.1 პუნქტით გათვალისწინებული ანაზღაურება გაიცემა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომის თარიღიდან 7 კალენდარული დღის განმავლობაში, უნაღდო ანგარიშსწორებით (სამეთვალყურეო საბჭოს წევრის მიერ მითითებულ ანგარიშზე), ან ნაღდი ფულით.

2.3. ფინანსური წლის შედეგების მიხედვით, აქციონერთა საერთო კრების მიერ დივიდენდების გადახდის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წევრებს უნდა გადაეხადოთ დამატებითი ანაზღაურება.

2.3.1. ანაზღაურების ოდენობა, რომელიც გადახდილ უნდა იქნეს სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრისათვის, განისაზღვრება ფორმულით:

$$S = \frac{D * n}{1000 * x * m}, \text{ სადაც}$$

$$1000 * x * m$$

**S** სამეთვალყურეო საბჭოს ერთი წევრის დამატებითი ანაზღაურების თანხა ფინანსური წლის შედეგების მიხედვით;

**D** დივიდენდების ოდენობა, რომელიც უნდა გადაიხადოს საზოგადოებამ ფინანსური წლის შედეგების მიხედვით;

**n** საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების (მათი ჩატარების ფორმის მიუხედავად) რაოდენობა, რომლებშიც წლის განმავლობაში სამეთვალყურეო საბჭოს წევრმა მიიღო მონაწილეობა და რომლის საქმიანობის შედეგების მიხედვით საზოგადოებას მიღებული აქვს წმინდა მოგება;

**x** სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა წესდების მიხედვით;

**m** - საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს სხდომების რაოდენობა წელიწადში, რომელთა საქმიანობის შედეგების მიხედვით გაიცემა დივიდენდები.

2.3.2. წინამდებარე დებულების მე-2.3.1 პუნქტის შესაბამისად, ანაზღაურების ოდენობა, რომელიც მიეცემა თავმჯდომარეს (თავმჯდომარის მოადგილეს) საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციების შესრულებისათვის, განისაზღვრება ფორმულით:

$$B = S + \frac{D * j * 1.5}{1000 * x * m}, \text{ სადაც}$$

**B** საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (თავმჯდომარის მოადგილის თავმჯდომარის ფუნქციების შესრულებისათვის) ანაზღაურების თანხა ფინანსური წლის შედეგების მიხედვით;

**S** - ფინანსური წლის შედეგების მიხედვით სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის (თავმჯდომარის მოადგილის) დამატებითი ანაზღაურების თანხა, სამეთვალყურეო საბჭოს იმ სხდომებში მონაწილეობისათვის, რომელთა დროს იგი არ ასრულებდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს;

**D** - დივიდენდების ოდენობა, რომლებიც უნდა გადაიხადოს საზოგადოებამ ფინანსური წლის შედეგების მიხედვით;

**j** სხდომების რაოდენობა, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე (თავმჯდომარის მოადგილე) ასრულებდა საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის ფუნქციებს;

**x** - სამეთვალყურეო საბჭოს წევრთა რაოდენობა წესდების მიხედვით;

**m** - საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს იმ სხდომების რაოდენობა წელიწადში, რომლის საქმიანობის შედეგების მიხედვით გადახდილი უნდა იყოს დივიდენდები.

2.3.3. იმ შემთხვევაში, თუ დივიდენდების გადახდას ადგილი აქვს იმ წლის შედეგების მიხედვით, როდესაც სამეთვალყურეო საბჭოს ახალი შემადგენლობა იქნა არჩეული, 2.3.1 2.3.2 პუნქტებით გათვალისწინებული ანაზღაურება გადახდილ უნდა იქნეს აგრეთვე საზოგადოების სამეთვალყურეო საბჭოს წინა შემადგენლობების წევრებისთვისაც.

2.4. წინამდებარე დებულების მე-2.3 პუნქტში გათვალისწინებული ანაზღაურება სამეთვალყურეო საბჭოს წევრს გადაეხდება საზოგადოების აქციონერთა საერთო კრების გადაწყვეტილებით.

2.5. წინამდებარე დებულების მე-2.3 პუნქტში მითითებული ანაზღაურება გადახდილ უნდა იქნეს საზოგადოების აქციონერთა იმ საერთო კრების ჩატარების თარიღიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში, რომელმაც ფინანსური წლის შედეგების მიხედვით მიიღო გადაწყვეტილება დივიდენდების გადახდის შესახებ.

2.6. ანაზღაურების გადახდისათვის წინამდებარე დებულება საკმარისია, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებთან ცალკე შრომითი ხელშეკრულებები არ უნდა იქნეს დადებული.

### 3. კომპენსაციების გადახდა

3.1. სამეთვალყურეო საბჭოს წევრს მიეცემა სამეთვალყურეო საბჭოს სხდომებში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯების კომპენსაცია, სხდომის ჩატარების მომენტისთვის სამივლინებო ხარჯების ანაზღაურების შესახებ საზოგადოებაში დადგენილი ნორმების შესაბამისად.

3.2. კომპენსაციების გადახდა წარმოებს საზოგადოების მიერ 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში, გაწეული ხარჯების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის შემდეგ, საზოგადოების შიდა დოკუმენტებით დადგენილი წესის შესაბამისად.